ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიოტექნიკის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე შოთა ლეონტის ძე **ბებიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 12 ივლისი.
№ 2540—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 237 ამხ. ზ. ი. კოკელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ სახალხო არტისტი გრიგოლ ირაკლის ძე კოკელაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 12 ივლისი.
№ 2545—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 238 ამხ. დ. ვ. ჭკუასელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სოხუმის აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე ამხ. დავით ვიქტორის ძე **ჭკუასელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 12 ივლისი.
№ 2541—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 239 ამხ. ვ. გ. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მაღალი შრომითი მაჩვენებლებისათვის დიდი სამამულო ომის მონაწილე და შრომის ვეტერანი ამხ. ვახტანგ გიორგის ძე **ჯავახიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 12 ივლისი.
№ 2542—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 240 აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის აკადემიური დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში დამსახურებისათვის და თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის აკადემიური დრამატული** თეატრი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 13 ივლისი.

**№ 2551—X**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 241 გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

**ვირსალაძე** თინათინ ბაგრატის ასული — განყოფილების გამგე.

**მეფისაშვილი** რუსუდან სამსონის ასული — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**ჩუბინაშვილი** ნიკოლოზ გიორგის ძე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 13 ივლისი.

**№ 2547—X**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 242 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბუნების დაცვის საქმეში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**გიგაშვილი** ეთერ ვალერიანის ასული — ბუნების დაცვის საზოგადოების თბილისის საბურთალოს რაიონული საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი.

**გოთოშია** ვენერა ერემიას ასული — პენსიონერი.

**კორინთელი** კლარა იოსების ასული — ბუნების დაცვის საზოგადოების თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 13 ივლისი.
№ 2546—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 243 ამხ. ლ. გ. მირცხულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მთავარი რეჟისორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლევან გერმანეს ძე **მირცხულავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 13 ივლისი.
№ 2548—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 244 ამხ. ბ. ნ. გეჯაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ბესარიონ ნიკოლოზის ძე **გეჯაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 18 ივლისი.
№ 2552—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 245 გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღსაზრდელად ნაყოფიერი მუშაობისათვის, აჭარის ასს რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმის განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით **გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 20 ივლისი.
№ 2559—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 246 ამხ. ღ. კ. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით **კინოსტუდია „ქართული ფილმის“** დამდგმელი რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსა-

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ხურებული მოღვაწე დევი კონსტანტინეს ძე **აბაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 20 ივლისი.
№ 2555—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 247 ამხ. რ. გ. საყევარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობისა და მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების დირექტორი ამხ. რევაზ გიორგის ძე **საყევარაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 20 ივლისი.
№ 2558—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 248 ამხ. ი. ნ. ტეხოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. იულია ნიკოლოზის ასული **ტეხოვა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 20 ივლისი.
**№ 2557—X**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 249 ამხ. ა. ფ. ფილიპოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელი ოპერატორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე არჩილ ფილიპეს ძე **ფილიპოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 20 ივლისი.

№ 2556—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 250 საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**ანისიმოვა** ნინო ვასილის ასული — თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეფონისტი.

**ბარბაქაძე** ნინო კიმოთეს ასული — პენსიონერი.

**ბოკუჩავა** სერგო თეიმურაზის ძე — აბაშის რაიონული კავშირგაბმულობის კვანძის ინსტრუქტორ-კონტროლიორი.

**გოშთელიანი** ეთერ ბეკურბის ასული — მესტიის რაიონული კავშირგაბმულობის კვანძის ოპერატორი.

**კაკაურიძე** ვლადიმერ ბარნაბის ძე — თბილისის ფოსტამტის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე.

**კარუანოვა** რაისა პავლეს ასული — წითელწყაროს რაიონული კავშირგაბმულობის კვანძის ტელეგრაფისტთა ბრიგადირი.

**კვარაცხელია** დურუ ანდრიას ძე — აფხაზეთის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს რესპუბლიკური სპეცკავშირგაბმულობის კვანძის უფროსი.

**კობაიძე** ნაზიკო გაბროს ასული — თეთრი წყაროს რაიონული კავშირგაბმულობის კვანძის ტელეფონისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოკოევი პავლე ჯაბას ძე — ცხინვალის საქალაქო კავშირგაბმულობის კვანძის მონტიორი.

კუჭიშვილი იაკობ გიორგის ძე — ასპინძის რაიონული კავშირგაბმულობის კვანძის მონტიორი.

მამედოვა ანა მიხეილის ასული — მარნეულის რაიონული კავშირგაბმულობის კვანძის დამხარისხებელი.

მიმინოშვილი დონარა ლევანის ასული — აბაშის რაიონული კავშირგაბმულობის კვანძის კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი.

ნარტკოშვილი ვლადიმერ ბესარიონის ძე — რესპუბლიკური სააგენტო „სოიუზპეჩატის" უფროსი.

პოლოსოვი ივანე ხორენის ძე — ბორჯომის რაიონული კავშირგაბმულობის კვანძის ფოსტალიონი.

სამსონენკო ვლადიმერ ალექსანდრეს ძე — რესპუბლიკური რადიოფიკაციის კვანძის ელექტრომონტიორი.

ტამბიევი ლევ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სახლმმართველობის უფროსი.

ჩიხლაძე თამარ ევსევის ასული — ქუთაისის საქალაქო კავშირგაბმულობის კვანძის ტელეგრაფისტი.

ჭინჭველეიშვილი ქეთევან პავლეს ასული — თბილისის ფოსტამტის ოპერატორი.

ჯვარშეიშვილი გურამ ვლადიმერის ძე — თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელის ელექტრომონტიორი.

ჯიქია ტრიფონ ნოეს ძე — გეგეჭკორის რაიონული კავშირგაბმულობის კვანძის ელექტრომონტიორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 30 ივლისი.
№ 2580—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 251 ამხ. ნ. შ. მაისურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისათვის და დაბადების 60 წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელ-

მწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნოდარ შალვას ძე მაისურაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 30 ივლისი.
№ 2578—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 252 ამხ. ვ. ვ. ქურულორიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ვიქტორ ვლადიმერის ძე ქურულორია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 30 ივლისი.
№ 2579—X

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1984 წლის 4 ივლისს მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე შეტანილი წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების განხილვის შედეგების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაციის თაობაზე.

დადგენილებაში აღინიშნა, რომ ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის, 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვებში ჩამოყალიბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული დებულებებითა და დასკვნებით, საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა განიხილეს დეპუტატთა წინადადებანი, კრიტიკული შენიშვნები და დასახეს ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის.

სესიაზე შეტანილი 57 წინადადებიდან და კრიტიკული შენიშვნიდან უმრავლესობა დადებითად გადაწყდა, რიგი გადაწყვეტის სტადიაშია და მოგვარდება სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში; ზოგიერთი მათგანის შესრულება ვერ მოხერხდება მატერიალური და ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო.

სესიაზე შეტანილ წინადადებათა და კრიტიკულ შენიშვნათა განხილვის შედეგების შესახებ ეცნობა ყველა დეპუტატს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა დააწესოს კონტროლი იმ ღონისძიებათა განხორციელებისადმი, რომლებიც დასახეს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე დეპუტატთა მიერ შეტანილ წინადადებათა განსახორციელებლად.

რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ გააქტიურონ მუშაობა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიაზე შეტანილი წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების სარეალიზაციოდ, ხოლო მუდმივ კომისიებს — გააძლიერონ კონტროლი სათანადო სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების მიერ სესიაზე შეტანილი წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

*

* *

1984 წლის 26 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა საკითხი არსებული დადგენილების შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ მანგლისის სადაბო საბჭო თავის სესიებზე, აღმასკომის სხდომებზე რეგულარულად იხილავს დაბის ტერიტორიაზე განლაგებული მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების მიერ სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მდგომარეობას, ყურადღებას აქცევს შრომის და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, საზოგადოებრივი

საქართველოს ბიბლიოთეკა

წესრიგის დაცვის, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

ამასთანავე მანგლისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა დაბის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის კაზრეთის სადაბო საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ არსებული დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

სადაბო საბჭო სრულად ვერ იყენებს თავის უფლებამოსილებას საქვეუწყებო ტერიტორიაზე სამეურნეო, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის, არ იჩენს პრინციპულობას და სათანადო მომთხოვნელობას ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა დადგენილ ვადებში შესასრულებლად.

ამის შედეგად დღემდე თითქმის შეუსრულებელია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილებანი, რომლებშიც გათვალისწინებულია მანგლისის, როგორც საკურორტო კერის, კეთილმოწყობისა და კომუნალური მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება.

სრულყოფას საჭიროებს დაბის ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებების მუშაობის კოორდინირების, მათგან სწორი და დროული ინფორმაციების მიღების საქმე. ხშირ შემთხვევაში საბჭოსა და მისი აღმასკომის ყურადღების მიღმა რჩება დაბის კეთილმოწყობისა და განაშენიანების საკითხები. მეოთხე წელია ავარიულ მდგომარეობაშია აფთიაქის, ბიბლიოთეკის, აბანო-სამრეცხაოს შენობები, მოუწესრიგებელია საკანალიზაციო ქსელი; მოსახლეობა ხშირად განიცდის ელექტროენერგიისა და სასმელი წყლის ნაკლებობას, მწყობრიდან გამოდის სატელეფონო კავშირი. შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების უმეტესი ნაწილი. ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს მანგლისის საშუალო სკოლების ახალ შენობათა მშენებლობა.

საბჭო სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობისადმი. არავითარი ყურადღება არ ექცევა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას. არსებული ღია სპორტული მოედნების აბსოლუტური უმრავლესობა დაზიანებულია. მოუვლელია ბაღები, სკვერები, ხეივნები, ქუჩები.

ბავშვთა სანატორიუმები და სახელმწიფო სააგარაკო ბინები ძალზე მცირე და კეთილმოუწყობელია. არ ფუნქციონირებს საკურორტო პოლიკლინიკა. მოუვლელია მანგლისის ფიჭვნარი. აქ არასაკმარისადაა ბავშვთა გასართობი და სპორტული მოედნები, საპარკო მოწყობილობა. მეოთხე წელია ჭიანურდება საზაფხულო კინოესტრადის აღდგენითი სამუშაოები.

დაბალია დეპუტატების, დეპუტატთა ჯგუფებისა და აქტივის როლი დაბის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გეგმების განხორციელების საქმეში. იშვიათად ტარდება მოქალაქეთა კრებები მიკროუბნების მიხედვით. სადაბო საბჭოს აღმასკომი სათანადო დახმარებას არ უწევს დეპუტატებს მათი მოვალეობის შესრულებაში. სუსტად მუშაობს დეპუტატის ოთახი, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა დეპუტატების სწავლებას.

სუსტია კონტაქტები სადაბო საბჭოს აღმასკომსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. სახლის და ქუჩის კომიტეტების, ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას აკლია ქმედითობა.

მანგლისის სადაბო საბჭოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები იმითაც არის გამოწვეული, რომ თეთრი წყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო, მისი აღმასკომი სათანადო ყურადღებას არ უთმობენ, საჭირო პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ სადაბო საბჭოსა და მის ორგანოებს ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მანგლისის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს აღმასკომს დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად; საბჭოს და მისი ორგანოების საქმიანობა უფრო სრულად დაუქვემდებაროს სსრ კავშირის კონსტიტუციის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მოთხოვნების, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლაში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და დებულებების უცილობლივ შესრულებას;

განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი დაბის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის კაზრეთის სადაბო საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ არსებული დადგენილების შესასრულებლად;

აამაღლოს საბჭოს როლი დაბის დაგეგმარებისა და განაშენიანების საქმის შემდგომ გაუმჯობესებაში; უფრო სრულად გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებები სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მეურნეობათა მუშაობის ეფექტიანობის, მისი ხარისხის, მშრომელთა ყოფა-ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად;

ხელი შეუწყოს საწარმოებს, სამეურნეო ორგანიზაციებსა და დეპუტატებს შორის 1984 წლისა და მთლიანად XI ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად, აგრეთვე კოოპერირების საფუძველზე სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას;

სრულყოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ფორმები და მეთოდები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სესიების მომზადებას და სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციას; ხელი შეუწყოს მუდმივი კომისიების, დეპუტატების, დეპუტატთა ჯგუფებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობის დონის, მათი მუშაობის საბოლოო შედეგების ეფექტიანობის ამაღლებას;

საბჭოს მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ყურადღება გაამახვილოს სახელმწიფო გეგმების შესრულების, სახელშეკრულებო დისციპლინის მტკიცედ დაცვის, წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების,

№ 7 ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სახის რესურსების ეფექტიანად და ყაირათიანად გამოყენების საკითხებზე;

უფრო მეტად იზრუნოს სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის, მშრომელთა საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, სავაჭრო და კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და სოციალისტური დისციპლინის, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის;

დეპუტატების, დეპუტატთა ფორმირებებისა და დაბის ფართო საზოგადოებრიობის დახმარებით შეუწყნარებელი ბრძოლა გააჩაღოს დაბაში არსებული ანტისანიტარიისა და უწესრიგობის წინააღმდეგ, დაბის ტერიტორიის, ბავშვთა სტაციონარული და საზაფხულო გამაჯანსაღებელი დაწესებულებების კეთილმოწყობისა და მათი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისი დავალებანი მიეცათ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, კავშირგაბმულობის, სატყეო მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს, ცეკავშირის გამგეობას, „საქმთავარენერგოს“, „საქკურორტს“ და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

* *

*

მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების: თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობ-მემოქლონის თ. მ. ბარიგინის, საწარმოო გაერთიანება „საქღვინომანქანის“ თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატის შ. კ. ჯოხაძის და საქართველოს სსრ გეოლოგიური სამმართველოს უფროსის ი. კ. გოგიტიძის ინფორმაციები ამომრჩევლებთან შეხვედრების ჩატარების პრაქტიკის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ისინი თავიანთ ამომრჩევლებს მუდმივად აწვდიან ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს მუშაობის შესახებ, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებების, განაწესების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, აგრეთვე წინა შეხვედრებზე მშრომელთა მიერ დაყენებული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის შესახებ; ამომრჩევლებს ხვდებიან საცხოვრებელ ადგილას, შრომითს კოლექტივებში, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების სხდომებზე, ესაუბრებიან მოქალაქეებს სახლში, გამოდიან ადგილობრივ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, განმარტებით მუშაობაში იზიდავენ აქტივისტებს, შესაბამისი დარგების სპეციალისტებს; წინასწარ სწავლობენ საქმის ვითარებას შრომითს კოლექტივებში, მოსახლეობის საბინაო-კომუნალური, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, სატრანსპორტო მომსახურების მდგომარეობას საარჩევნო ოლქებში.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, საქმიან ვითარებაში ჩატარებას ბევრად უწყობს

ხელს მათში ქ. თბილისის საქარხნო, ოქტომბრის და 26 კომისრის სახელობის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელობის, საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა და დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების მდივნების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა უშუალო მონაწილეობა, აგრეთვე საინფორმაციო-საცნობარო მასალები, რომლებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი წელიწადში ორჯერ გამოსცემს.

ხშირად დეპუტატები წინასწარ ეთათბირებიან შესაბამისი აღმასკომების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელობას, აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში შეხვედრების დროს გამოსვლებისა და მოქალაქეთაგან შემოსული წინადადებების, საჩივრებისა და განცხადებების ანალიზის გზით; სათანადო ორგანოებს აცნობებენ მათი საარჩევნო ოლქის მოსახლეობის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, შესაბამის თანამდებობის პირებს წარუდგენენ განსახილველად წინადადებებს მათს დასაკმაყოფილებლად.

ასეთნაირად, დეპუტატები თ. მ. ბარიგინი, შ. კ. ჯოხაძე და ი. კ. გოგიტიძე, როგორც თავიანთი ამომრჩევლების წარმომადგენლები და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სრულუფლებიანი წევრები, მონაწილეობენ სახელმწიფო გადაწყვეტილებების არა მარტო მიღებაში, არამედ მათ შესრულებაშიც: რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამომრჩევლებთან ჩატარებული შეხვედრებისა და მათზე წამოჭრილი საკითხების შესახებ; აყენებენ მათ შეკითხვის წესით სესიებზე, აგრეთვე მუდმივი კომისიების სხდომებზე და ა. შ.

მთელ ამ მუშაობაში დეპუტატები ეყრდნობიან საბჭოს აქტივს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების და შრომითი კოლექტივების მხარდაჭერას. ხშირად თვითონ მონაწილეობენ ამ აქტივის ფორმირებაში, ნაყოფიერად თანამშრომლობენ მიკრორაიონის საბჭოებთან, ქუჩის, სახლის, მშობელთა კომიტეტებთან, ქალთა საბჭოებთან, ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებსა და ამხანაგურ სასამართლოებთან.

დეპუტატების თ. მ. ბარიგინის, შ. კ. ჯოხაძის და ი. კ. გოგიტიძის საინფორმაციო-განმარტებითი საქმიანობა ხელს უწყობს საარჩევნო ოლქის მოსახლეობის შეგნებულ მონაწილეობას საბჭოების მუშაობაში, კანონებისა და გადაწყვეტილებების შესრულებაში, მოქალაქეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების თ. მ. ბარიგინის, შ. კ. ჯოხაძის და ი. კ. გოგიტიძის ამომრჩევლებთან შეხვედრების ჩატარების პრაქტიკა და დაადგინა, რომ მის შესახებ ეცნობოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის შესაბამისად ხელი შეუწყონ დეპუტატებს მუშაობაში საარჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნო ოლქებში, საჭირო პირობები შეუქმნან ამომრჩევლებთან შეხვედრების ჩასატარებლად და მათზე დაყენებული წინადადებების სარეალიზაციოდ.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა აგრეთვე საკითხები: საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მუდმივ კომისიებში წინასწარი განხილვის შესახებ, 1984 წლის ივნისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების, წინადადებებისა და სურვილების თაობაზე, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებში, სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან 1984 წლის პირველ ნახევარში საკონტროლო დავალებით გადაგზავნილ მშრომელთა წერილებსა და განცხადება-საჩივრებზე მუშაობის მდგომარეობის შესახებ და სხვ.

ყველა საკითხზე მიღებულია სათანადო დადგენილება.